ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5492298

ნომერი: AR1836582

თარიღი : 07.07.2021

გაცემის თარიღი : 15.07.2021

გაცნობის თარიღი : 15.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნინო ჩხეიძის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი დეკანოიძე პ/ნ 01008003084
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 75, კორპუსი 8, ბინა 33

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გივი დეკანოიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,პრო რეგიო''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205275415
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,პრო რეგიო'' (დირექტორი ვიტოლდ სარტორიუს)
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: C93VN3RT3

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5083871 (4673703)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.08.2020

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2019 წლის 24 სექტემბრის № 4673703 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 24 სექტემბრის № 467370 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), ნ. ჩხეიძის ქ. N28-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა2019 წლის 23 სექტემბრიდან 2020 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.

2020 წლის 24 აგვისტოს AR1769597 განცხადების საფუძველზე სამსახურის 2020 წლის 31 აგვისტოს № 5083871 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 სექტემბრის № 4673703 ბრძანებაში, კერძოდ: ჩანაწერი "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 23 სექტემბრიდან 2020 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით;" შეიცვალა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 31 გვისტოდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით'';

2021 წლის 07 ივლისის AR1836582 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. გივი დეკანოიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2019 წლის 24 სექტემბრის № 4673703 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 სექტემბრის № 4673703 ბრძანებაში, კერძოდ: ჩანაწერისს"მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 23 სექტემბრიდან 2020 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით;" შეიცვალოს ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 15 ივლისიდან 2022 წლის 15 იანვრის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 სექტემბრის № 4673703 და 2020 წლის 31 აგვისტოს № 5083871 ბრძანებებთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.